

მოწყობილობა აღრიცხვის, ინდიკაციისა და
ანგარიშსწორების - "აიმ2-X"
საწვავმარიგებელი სადგურების საზომ-საინფორმაციო
კომპლექსისათვის

პ ა ს პ ო რ ტ ი

სარჩევი

1. დანიშნულება
2. კომპლექსის მოდიფიკაციათა აღნიშვნები;
3. კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები
4. კომპლექსის შემადგენლობა
5. კომპლექსის სამუშაო რეჟიმები და პროგრამული უზრუნველყოფა

პ ა ს პ ო რ ტ ი

1. დანიშნულება

მოწყობილობა აღრიცხვისა და ინდიკაციის, ანგარიშსწორების საზომ-საინფორმაციო კომპლექსისათვის - "აიმ2-X" - განკუთვნილია საწვავმარიგებელი სადგურების სვეტებით გაცემული საწვავის რაოდენობის (შერჩეულ ერთეულებში), მისი შესაბამისი ღირებულების (თანხის შერჩეულ ერთეულებში) აღრიცხვისა და ამ მონაცემების, ანგარიშსწორების მიზნით ასახვის, შედეგების დამუშავების, ენერგოდამოუკიდებელ მეხსიერებაში ხანგრძლივი შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში მონაცემების ამოღებით.

მოწყობილობა აღრიცხვისა და ინდიკაციის, ანგარიშსწორების საზომ-საინფორმაციო კომპლექსისათვის - "აიმ2-X" - მზადდება მსტ 50031554-002-2007-ის საფუძველზე.

2. მოდიფიკაციათა აღნიშვნები

აღრიცხვისა და ანგარიშსწორების საზომ-საინფორმაციო კომპლექსი - საწვავმარიგებელი სადგურებისათვის - აიმ2-X წარმოებს ოთხი მოდიფიკაციით:

აიმ2-1; აიმ2-2; აიმ2-3; აიმ2-4.

აიმ2-X-ის ყველა მოდიფიკაციის მოდელი ფუნქციონირებს ფისკალურ რეგისტრატორთან ან კომპიუტერთან ერთად.

3. ტექნიკური მახასიათებლები

კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 1-ში .

ცხრილი 1

N	მაჩვენებლის დასახელება	ნორმა	შენიშვნა
1	გარჩევადობა, არანაკლებ	10 მილილიტრი	
2	საწვავის გაცემის მაქსიმალური რეგისტრირებადი სიჩქარე, არანაკლებ	5 ლ/წმ	
3	1 ლ შესაბამისი შესასვლელი იმპულსების რაოდენობა	100 იმპულსი	
4	გამოსასვლელი 1 ლიტრიანი იმპულსების ხანგრძლივობა ყოველ არხში, არანაკლებ	20 მლწმ	
5	მაბვა, ერთ ლიტრიანი იმპულსების გამოსასვლელზე და მისი დატვირთვისუნარიანობა ყოველ არხში, არანაკლებ	24 გ / 2 ა	
6	არხებზე გასაცემი პროდუქტის ერთეულის ღირებულების ჩვენების თანრიგობა	99.99	
7	გაცემული პროდუქტის რაოდენობის ინდიკაციის პანელზე ჩვენების თანრიგობა	9999.99	
8	გაცემული პროდუქტის ღირებულების ინდიკაციის პანელზე ჩვენების თანრიგობა	9999.99	
9	სვეტის მიერ თითოეული არხით გაცემული საწვავის ჯამური რაოდენობის ჩვენების თანრიგობა	999 999 999.9999	

ცხრილი 1 გაგრძელება

N	მაჩვენებლის დასახელება	ნორმა	შენიშვნა
10	სვეტის მიერ ყოველი არხით გაცემული საწვავის ჯამური რაოდენობის შესაბამისი თანხის ჩვენების თანრიგალობა	999 999 999.99	
11	სვეტის მიერ თითოეულ არხზე გაცემული საწვავის ჯამური რაოდენობისა და მისი შესაბამისი თანხის ცვლილების შესაძლებლობა	შეუძლებელია	
12	სვეტის მიერ ყოველ არხით გაცემული საწვავის მთლიანი რაოდენობისა და მისი შესაბამისი თანხის ენერგოდამოუკიდებელი დამახსოვრების ვადა, არანაკლებ	6 წელი	
14	გაშვებიდან-გაშვებამდე, გამოსასვლელი ერთ ლიტრიანი იმპულსების მიმართ ნაშთის, ენერგოდამოუკიდებელი დამახსოვრების ვადა, არანაკლებ	6 წელი	
15	რეჟიმში "გაშვება მენიუდან" "შეკვეთილი რაოდენობა/შეკვეთილი თანხა" შემანელებელი სარქველის ამოქმედების ზღურბლი	შეკვეთილი გასაცემი სიდიდის მიღწევამდე 0.5 ლიტრით ადრე.(ა	რეგულირდება მენიუდან)
16	ერთ ფისკალურ პრინტერთან დაკავშირებული აიმ2-X-ების მაქსიმალური რაოდენობა	8	
17	ფისკალურ პრინტერთან კავშირის ინტერფეისი	RS485	
18	ქსელიდან კვების ძაბვის შეწყვეტის შემდეგ ინდიკაციის პანელის ფუნქციონირების დრო ჩამოსხმის გარეშე, არანაკლებ	48 სთ	
19	ქსელიდან კვების ძაბვა		220ვ/50ჰც +/- 10%
20	ქსელიდან ხმარებული სიმძლავრე, არაუმეტეს	აიმ	40 ვტ
21	მასა	აიმ	4 კგ
		პულსარი	0,5 კგ
		პრინტერი	0.6 კგ
22	გაბარითული ზომები	მართვა/გამოთვლის ბლოკი	235x235x90 მმ
		ინდიკაციის პანელი	380x300x30 მმ
		მართვის პულტი	160x160x25
		ქსელის არბიტრის პლატა	130x65x25
		პულსარი	105x80x20 მმ
		პრინტერი	185x115x95

1.1 კომპლექსის ერთი ტიპის, ერთი და იგივე დანიშნულების კვანძები ურთიერთშენაცვლებადია;

1.2 მოწყობილობა მკვებავი ელექტრული ქსელისაგან განმხოლოებულია ძალოვანი დამადაბლებელი ტრანსფორმატორის მეშვეობით, ხოლო შესასვლელი და გამოსასვლელი წრედები, მართვის ორგანოების და შემსრულებელი მოწყობილობებისაგან – ოპტრონების მეშვეობით;

1.3 მოწყობილობის ძირითადი ნაწილი ქსელის კვების შესასვლელიდან ტოპოლოგიურად გამოყოფილია და გადატვირთვებისაგან დაცულია დნობადი მცველის მეშვეობით.

1.4 მოწყობილობის ძალოვანი, შესასვლელი და გამოსასვლელი წრედების იზოლაცია, კორპუსის მიმართ და ურთიერთშორის 1 წუთის განმავლობაში უძლებს 1500 ვ ძაბვის ზემოქმედებას გარღვევისა და გადაფარვების გარეშე;


1.5 შემსრულებელი მოწყობილობების (ტუმბოს ძრავი, შემანელებელი სარქველი) მართვისათვის გამოიყენება დახურული ტიპის რელეები, რაც გამორიცხავს ნაპერწკლის გაჩენის შესაძლებლობას;

4. კომპლექსის შემადგენლობა

კომპლექსი შედგება:

მართვის პულტის, ინდიკაციის პანელის (მომხმარებლისთვის); მართვა-გამოთვლის მოწყობილობის და ფისკალური რეგისტრატორისაგან. ისინი წარმოადგენენ დასრულებულ კვანძებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია ბრტყელი ჩალიჩებით.

კომპლექსის სტრუქტურული სქემა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. კომპლექსის სტრუქტურული სქემა

ცალკეული კომპლექსები ერთმანეთთან და ფისკალურ რეგისტრატორთან გაერთიანებულია **RS485** სალტით. სალტის არბიტრის პლატა ჩაყენებულია ერთერთი კომპლექსის მართვა-გამოთვლის ბლოკის კორპუსში. დასაშვებია მისი დამოუკიდებელი კვანძის სახით წარმოება.

1 მართვის პულტი წარმოადგენს ოთხკუთხედი ფორმის ბლოკს, რომლის წინა პანელზე განთავსებულია:


- მართვის დისპლეი,
- ნავიგაციის კლავიატურა,
- ანბანურ-ციფრულ კლავიატურა.

მართვის პულტის კლავიატურაში გამოიყენება დახურული ტიპის დილაკები, რაც ნაპერწკლის გაჩენის შესაძლებლობას გამორიცხავს. მართვის პულტის გარე ხედი ნაჩვენებია ნახ. 2-ზე



ნახ.2

4.1.1 მართვის დისპლეი (ნახ 3) წარმოადგენს თხევადკრისტალური გრაფიკული ასახვის დასრულებულ კვანძს, სტრიქონში 160 და სვეტში 32 წერტილით, დისპლეი უზრუნველყოფს ქართული, ინგლისური, რუსული ანბანის და სპეციალური სიმბოლოების ასახვას. მუშაობის სხვადასხვა რეჟიმებში აისახება - მენიუს პუნქტები, ნავიგაციის კლავიატურის ღილაკების დანიშნულების სიმბოლოები, სისტემის პარამეტრები, დრო, 4 დასახელების პროდუქტების ფასები, ჯამური მთვლელების ჩვენებები და სხვა. დისპლეიზე ეს ინფორმაცია აისახება მაქსიმუმ 4 სტრიქონის სახით.



ნახ.3

4.1.2 ნავიგაციის კლავიატურა განკუთვნილია კომპლექსის მუშაობის რეჟიმის ასარჩევად, სამართავად, საწყისი პარამეტრების შესაყვანად, რედაქტირებისათვის და შედეგა 4 ღილაკისაგან, ნახ 3. ის განთავსებულია მართვის პულტის ზედა მარჯვენა ნაწილში.

- ნავიგაციის კლავიატურა წარმოადგენს პროგრამულად დამოკიდებულ კლავიატურას (Soft Keys). ღილაკები მრავალფუნქციონალურია და მათ მიერ შესრულებული ფუნქციები დამოკიდებულია კომპლექსის მუშაობის რეჟიმზე .

ლილაკების გასწვრივ, მართვის დისპლეის განაპირა მარჯვენა სვეტში 4 სტრიქონზე გამოსახება მიმდინარე რეჟიმში ლილაკით შესრულებადი ფუნქციის აღმნიშვნელი სიმბოლოები. ეს სიმბოლოებია:

- "რ" - მენიუს სიის ერთი სტრიქონით (ერთი პუნქტით) ზევით აწევა. თუ დისპლეიზე ასახულია მენიუს დასაწყისი- სიმბოლო არ ჩანს და სიის ზევით აწევა შეუძლებელია;

- "ბ" - მენიუს სიის ერთი სტრიქონით (ერთი პუნქტით) ქვემოთ ჩაწევა,თუ დისპლეიზე ასახულია მენიუს ბოლო პუნქტი, სიმბოლო არ ჩანს და სიის ქვემოთ ჩაწევა შეუძლებელია;

- "i" - პარამეტრების შეყვანის და რედაქტირების მენიუებში გამოიყენება კურსორის გადასადგილებლად ერთი პოზიციით მარცხნივ. თუ სიმბოლო გამოსახული არ არის - კურსორი მდებარეობს სტრიქონის პირველ პოზიციაში, და მისი მარცხნივ გადაადგილება შეუძლებელია;

- "o" - პარამეტრების შეყვანის და რედაქტირების მენიუებში გამოიყენება კურსორის გადასადგილებლად ერთი პოზიციით მარჯვნივ, თუ სიმბოლო გამოსახული არ არის - კურსორი მდებარეობს სტრიქონის ბოლო პოზიციაში და მისი მარჯვნივ გადაადგილება შეუძლებელია;

- "A" - სიმბოლო გამოიყენება:

- მენიუს იმ მოქმედების შესრულება, რომლის გასწვრივაც გამოსახულია ეს სიმბოლო ან მენიუს ქვეპუნქტზე გადასვლა;

- პარამეტრების შეყვანის მენიუში - შეყვანის დასრულება და შესაბამისი მოქმედების შესრულება;

- რედაქტირების მენიუში - რედაქტირების დასრულება და შედეგის დამახსოვრება. თუ სიმბოლო არ ჩანს - მიმდინარე მენიუს არ გააჩნია ქვეპუნქტი, ან მასში არ სრულდება რაიმე მოქმედება;

- "C" - მენიუს რეჟიმში მენიუს წინა პუნქტზე დაბრუნება;

- პარამეტრების შეყვანის მენიუში - შეყვანის შეწყვეტა და მენიუს წინა პუნქტზე დაბრუნება;

- რედაქტირების მენიუში - რედაქტირების შეწყვეტა და მენიუს წინა პუნქტზე დაბრუნება ცვლილების გარეშე;

- "d" - რეჟიმში "გაყიდვები გამარტივებული მართვით" - გადასვლა შეკვეთილი თანხიდან, შეკვეთილ რაოდენობაზე ან პირქით.

იმ ლილაკებს, რომელთა გასწვრივაც არცერთი სიმბოლო არ არის გამოსახული, მენიუს ამ პუნქტებში ფუნქცია არ გააჩნიათ და მათ დაჭერას მოქმედება არ მოჰყვება.

4.1.3 ანბანურ/ციფრული კლავიატურა შედგება 12 მრავალფუნქციონალური ლილაკისაგან. 10 ლილაკზე დატანილია რიცხვები "•"; ", "; "f"; "„"; "..."; "†"; "‡"; "ˆ"; "%"; "€" ხოლო ორზე სიმბოლო "# - დიეზი"და "• - წერტილი". ლილაკების მიერ შესრულებული ფუნქციები დამოკიდებულია კომპლექსის მუშაობის რეჟიმებზე.

ლილაკები გამოიყენება:

- რეჟიმში "გაყიდვები გამარტივებული მართვით"-პროდუქტის გაცემის პროცესის სამართავად ;

-პაროლების, პარამეტრების ან ტექსტების შეყვანის და რედაქტირების მენიუებსა და რეჟიმში "გაყიდვები გამარტივებული მართვით" - ციფრებისა და სიმბოლოების ასაკრეფად:

- • - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "A,B,C,D,E,F,G,H,I,1";
- , - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "აბგდეზთი2";
- f - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "АБВГДЕЖЗИЙ3";
- „ - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "JKLMNORQ4";
- ... - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "კლმნოპჟრ5";
- † - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "КЛИМНОПРСТУФ6";
- ‡ - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "RSTUVWXYZ7";
- ^ - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "სტუფქღყ8";
- % - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "ХЦЧШЩЪЫЬЭЮЯ9";
- € - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის "ჩცძჭჭჯჰ30";
- ". - გამოიყენება შემდეგი სიმბოლოების აკრეფისათვის " '.,:;-/*! ?+&\$#@%=(<>";

- # - გამოიყენება მხოლოდ ინგლისური და რუსული სიმბოლოების აკრეფისას რეგისტრის გადართვისათვის.

4.2 ინდიკაციის პანელი წარმოადგენს მომხმარებლისათვის განკუთვნილ მართკუთხა ფორმის ბლოკს, რომელზედაც 4 -სტრიქონად გნლაგებულია სხვადასხვა ზომის 7 სეგმენტა ინდიკატორები, ნახ 4.

4.2.1 პირველ (ზედა) სტრიქონში განლაგებულ ინდიკატორებზე აისახება გაცემული პროდუქტის ღირებულება ლარებში (შერჩეულ თანხის ერთეულებში) ათობით კო-დირებით, ფორმატით 9999.99;

4.2.2 მეორე სტრიქონში განლაგებულ ინდიკატორებზე აისახება გაცემული პროდუქტის რაოდენობა ლიტრებში (შერჩეულ რაოდენობის ერთეულებში) ათობითი კოდირებით, ფორმატით 9999.99;

4.2.3. მესამე სტრიქონში განლაგებულ ინდიკატორებზე აისახება შერჩეულ არხით (მიმდინარე გასაცემი) პროდუქტის ფასი ლარებში (შერჩეულ თანხის ერთეულებში) ათობით კოდირებით, ფორმატით 99.99;

4.2.4. მეოთხე სტრიქონში განლაგებულ ინდიკატორებზე აისახება სვეტის არხებით გაყიდვაში არსებული პროდუქტების ფასები ლარებში (შერჩეულ თანხის ერთეულებში) ათობით კოდირებით ფორმატით 99.99;

4.3 მართვა-გამოთვლის მოწყობილობა ჩამონტაჟებულია ლითონის ყუთში, რომელიც ილუქება და მისი კონსტრუქციული შესრულება გამორიცხავს ლუქის დარღვევის გარეშე მასში შეღწევის შესაძლებლობას. ეს მოწყობილობა იმპულსურ გადამწოდებთან (პულსართან) და შემსრულებელი მოწყობილობებთან (ტუმბოს ძრავი, შემანელებელი სარქველი) მიერთებულია გამთიშებით. პულსარის გამთიში მოთავსებულია ლითონის ყუთში და ილუქება, ხოლო ტუმბოების გამთიშები გამოტანილია კორპუსის ზედაპირზე. კომპლექსის საერთო სახე ნაჩვენებია ნახ. 5-ზე,




ნახ.4




ნახ.5


მასთან გარე მოწყობილობების მიერთების სტრუქტურული სქემები - ნახ. 6-ზე




ნახ. 6 ა)



მუერთების სქემა ვალუვანური განრთვიით




მუერთობის სქემა ვალუვანური განრთვის გარეშე



რამოდენიშე მონყობილობის გაერთიანება ქსელში

ნახ. 6 ბ)



ნახ. 7 მართვის პულტი


5. კომპლექსის სამუშაო რეჟიმები და პროგრამული უზრუნველყოფა

5.1. კომპლექსი მუშაობს 4 რეჟიმში (ნახ.7) და ამ რეჟიმებში მუშაობისათვის გააჩნია საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. ეს რეჟიმებია:

- "გაყიდვები";
- "ადმინისტრატორი";
- "საგადასახადო ინსპექტორი";
- "საინჟინრო" (მომსახურების რეჟიმი)

თითოეულ რეჟიმს გააჩნია, ქვერეჟიმები და მისი მართვისათვის საჭირო მენიუები და ქვემენიუები.

გაცემის დაწყებამდე მოწმდება კავშირი გარე ფისკალურ პრინტერთან ან კომპიუტერთან, და მისი დარღვევის შემთხვევაში ინდიკაციის პანელსა და მართვის დისპლეიზე რამოდენიმე წამით გამოიტანება შეტყობინება შეცდომის შესახებ, რის შემდეგ ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება შეუძლებელია .



ნახ.7

5.2. რეჟიმი "გაყიდვები" წარმოადგენს ძირითად სამუშაო რეჟიმს. რეჟიმის მენიუს სქემა ნაჩვენებია ნახ.8

რეჟიმი "გაყიდვები" უზრუნველყოფს გაყიდვების პროცესის მართვას ორ ქვერეჟიმში:

- გაყიდვა "ნაღდი ანგარიშსწორებით";
- გაყიდვა "უნაღლო ანგარიშსწორებით".

5.2.1 ქვერეჟიმში "ნაღდი ანგარიშსწორებით" - გაყიდვები წარმოებს ნაღდი ანგარიშსწორების საფუძველზე.


5.2.2 ქვერეჟიმში "უნაღლო ანგარიშსწორებით" გაყიდვა წარმოებს ტალონებით.

5.2.3 ორივე ქვერეჟიმში გაყიდვების განხორციელება შესაძლებელია ორი მენიუთი:

- გაყიდვა "გამარტივებული მართვით";
- გაყიდვა "სრული მართვით"

ქვეპუნქტში "გამარტივებული მართვით" - შეკვეთა გასაყიდი პროდუქტის რაოდენობის ან ღირებულების მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს შეკვეთილი სიდიდის მხოლოდ მთელ ერთეულამდე დამრგვალებით, ან სიდიდის შეზღუდვის გარეშე ოპერატორის მიერ გაცემის შეწყვეტამდე.


ქვეპუნქტში "გაყიდვა სრული მართვით" შეკვეთა გასაყიდი პროდუქტის რაოდენობის ან ღირებულების მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს შეკვეთილი სიდიდის მესაყიდის სიზუსტით;



ნახ.8

5.2.4 გაყიდვების პროცესის ვიზუალიზაცია ხორციელდება ინდიკაციის პანელის საშუალებით (იხ. ფოტო 3), ხოლო დოკუმენტირება ფისკალური პრინტერის ან კომპიუტრის საშუალებით.

5.3. რეჟიმი "ადმინისტრატორი" განკუთვნილია სვეტის მუშაობის ადმინისტრირებისათვის. ამ რეჟიმში შესაძლებელია თითოეული არხისთვის პროდუქტის დასახელების და გასაყიდი ფასის რედაქტირება, ცალკეული არხების ჯამური მთვლელების დათვალიერება, დროისა და თარიღის გასწორება, Z და X ანგარიშების ბეჭდვა, ადმინისტრატორის პაროლის შეცვლა, ქვითარზე ამოსაბეჭდი სათაურის ველის სამ სტრიქონიანი ტექსტის რედაქტირება. რეჟიმის მენიუს სქემა ნაჩვენებია ნახ. 8




ნახ.9

რეჟიმის გააქტიურება წარმოებს ადმინისტრატორის ექვსთაწრიგა (ათობითი) სწორი პაროლის შეყვანის შემდეგ, არასწორი პაროლის შეყვანისას რეჟიმში შესვლა ბლოკირდება.

5.4. რეჟიმი "საგადასახადო ინსპექტორი" განკუთვნილია სვეტზე უფლებამოსილი პირის მიერ ფისკალიზაციისათვის და ფინანსური კონტროლის განსახორციელებლად. რეჟიმის მენიუს სქემა ნაჩვენებია ნახ. 10.

ამ რეჟიმში შესაძლებელია დროისა და თარიღის ნახვა და გასწორება, ყოველი არხისთვის ჯამური მთვლელების დათვალიერება, Z, მოკლე და სრული ფისკალური ანგარიშების ბეჭდვა მითითებული თარიღების მიხედვით, ფისკალური პრინტერის ფისკალიზება, ფასების ისტორიის დათვალიერება, პროგრამული უზრუნველყოფის საკონტროლო ჯამის შემოწმება და დაბგერის პროცენტისა და საგადასახადო ინსპექტორის პაროლის შეცვლა, ფისკალიზაციების ბეჭდვა


რეჟიმის გააქტიურება წარმოებს საგადასახადო ინსპექტორის ექვსთაწრიგა (ათობითი კოდირებით) სწორი პაროლის შეყვანის შემდეგ, არასწორი პაროლის შეყვანისას რეჟიმში შესვლა ბლოკირდება.



ნახ. 10

5.5. რეჟიმის "საინჟინრო" (სერვისი) დანიშნულებაა სვეტის ტექნიკური მომსახურების და ტესტირების განხორციელება ადგილზე. ამ რეჟიმში წარმოებს პროგრამული უზრუნველყოფის საკონტროლო ჯამის, ვერსიის, მწარმოებლის, მართვისა და სერიული ნომრის შემოწმება, მენიუს ენის არჩევა, გარკვეული ტექნიკური პარამეტრების კორექტირება, ცალკეული კვანძების ტესტირება, მუშაობის რეჟიმის არჩევა რეჟიმის მენიუს სქემა ნაჩვენებია ნახ. 11-ზე.

რეჟიმის გააქტიურება წარმოებს ექვს თაწრიგა (ათობითი კოდირებით) საინჟინრო სწორი პაროლის შეყვანის შემდეგ. არასწორი პაროლის შეყვანისას რეჟიმში შესვლა ბლოკირდება.



ნახ. 11

შეცდომების კოდები

3	"წინა ოპერაციის თარიღი უფრო მეტია ვიდრე მიმდინარე"
4	"ფკ არ არის ფისკალიზირებული"
5	"მონაცემები არ არის სწორი"
6	"დოკუმენტი არ არის დახურული"
7	"გადაფისკალიზირების რიცხვი მეტია დასაშვებზე"
8	"ორგანიზაციის დასახელება არ არის სწორი"
16	"ფისკალური მეხსიერება გადავსებულია"
17	"უცნობი შეცდომა!"
18	"ლიცენზია დამთავრებულია"
21	"ფმ-ს ნომერი არ არის სწორი";
22	"დოკუმენტი ღიაა"
24	"სვეტის ნომერი არ არის სწორი"
26	"დოკუმენტი დახურულია"
28	"სვეტი დახურულია"
29	"დოკუმენტი ანულირებულია"
30	"გაასწორეთ ფურცელი ფკ-ში"
31	"ფკ ON LINE რეჟიმშია"
250	"ქსელის დაბვა არ არის"
251	"ტაიმერში ჩაწერის შეცდომა"
252	"Flash მეხსიერებაში ჩაწერის შეცდომა"
253	"დრო არასწორადაა შეყვანილი"
254	"საკონტროლო ჯამის შეცდომა"
255	"ფკ-ს სინქრონიზაციის შეცდომა"



შპს "ალგო"

თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6

ტელ: 38 16 09

<http://www.algo.ge>

Email: info@algo.ge